# Georgia
# ISSP 2015 – Work Orientations IV
# Questionnaire
# (Georgian)

N________________კითხვარის ნომერი

**კითხვარი კოდირებულია:** [ ]

**კითხვარი შეყვანილია:** [ ]

**სამუშაო ორიენტაციების კვლევა საქართველოში**

*გამარჯობა! მე ვარ (ინტერვიუერის სახელი, გვარი) ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრიდან (CSS), რომელიც საერთაშორისო სოციალური კვლევის პროგრამის (ISSP) წევრია და მსოფლიოს 48 ქვეყანასთან ერთად, ატარებს კვლევას ქვეყანაში სამუშაო ორიენტაციების შესასწავლად. კვლევა კონფიდენციალურია და მიღებული პასუხები განზოგადებული სახით გაანალიზდება, ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ ჩვენს შეკითხვებს. კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ინტერვიუზე თანხმობის შემთხვევაშიც კი თქვენ შეგიძლიათ არ უპასუხოთ თქვენთვის არასასურველ შეკითხვებს. ინტერვიუს ხანგრძლივობაა დაახლოებით **<u>60</u>** წუთი.*

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

ინტერვიუერის სახელი და გვარი: _____________________________________________ კოდი _____

რესპონდენტის სახელი და გვარი ____________________ / ___________________

რესპონდენტის მობ. ტელეფონი ____________________ / ___________________

შერჩევის პუნქტი დასახელება _____________________________________________

შერჩევის წერტილის მისამართი _____________________________________________ კოდი____

ინტერვიუს დაწყების დრო _________ / ________ ინტერვიუს დასრულების დრო ______ / ______

საათი წუთი საათი წუთი

ინტერვიუს ჩატარების თარიღი ____________ / ______________

რიცხვი თვე

ISSP ძირითადი ცვლადების კითხვარი (BVQ)

BVQ_01. <u>სქესი</u>

1. მამრობითი
2. მდედრობითი

BVQ_02. <u>დაბადების თარიღი:</u> როდის ხართ დაბადებული?

*გთხოვთ, გარაფაში ჩაწეროთ თქვენი დაბადების წელი (დაბადების წლის მისათითებლად გამოიყენეთ ოთხი ციფრი).*

|__|__|__|__|

BVQ_03. <u>განათლება:</u> სკოლიდან დაწყებული და დღემდე მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის ჩათვლით (დაწყებითი და საშუალო სკოლა, უნივერსიტეტი, სრული პროფესიული განათლება), სულ რამდენი წელი ისწავლეთ სასწავლო დაწესებულებაში? თუ ამჟამად განათლებას იღებთ, დაითვალეთ დღემდე გავლილი წლების რაოდენობა.

*გთხოვთ, გრაფაში ჩაწეროთ წლების რაოდენობა ან საჭიროებისამებრ, შემოხაზოთ '0'.*

| | |
|---|---|
| **სასკოლო და/ან პროფესიულ განათლებაზე დახარჯული წლები** | |
| | მხოლოდ სასკოლო განათლებაზე დახარჯული წლები |
| | მხოლოდ პროფესიულ განათლებაზე დახარჯული წლები (არსებობის შემთხვევაში) |
| **უმაღლეს განათლებაზე დახარჯული წლები** | |
| | ბაკალავრიატი |
| | მაგისტრატურა (მაგისტრატურასთან გათანაბრებული 5-წლიანი დიპლომი) |
| | დოქტორანტურა (ან ასპირანტურა) |
| | |
| ჯამი: _______ | საერთო წლების რაოდენობა (იგულისხმება სასკოლო, პროფესიული და/ან ყველა უმაღლესი განათლება ერთად) |
| 0 | არ მაქვს მიღებული განათლება (არც სასკოლო და არც პროფესიული და/ან უმაღლესი) |

BVQ_04. <u>ხარისხი</u>: რა არის თქვენი განათლების უმაღლესი საფეხური?
გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.

0. არ მიმიღია 8 ან 9 წლის სკოლის ატესტატი
1. მაქვს 8 ან 9 წლის სკოლის ატესტატი
2. მაქვს საშუალო სკოლის ატესტატი (11 ან 12 წელი)
3. მაქვს პროფესიული/ტექნიკური განათლების დიპლომი
4. მაქვს ბაკალავრის დიპლომი
5. მაქვს მაგისტრის დიპლომი / მაგისტრთან გათანაბრებული 5-წლიანი დიპლომი
6. მაქვს დოქტორის ხარისხი *[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** იგულისხმება ძველი საბჭოთა ხარისხიც, რომელიც გათანაბრებულია დოქტორის ხარისხთან]*

**შემდეგი კითხვა ეხება თქვენს დასაქმებას.** დასაქმებაში იგულისხმება ანაზღაურებადი სამუშაო, როდესაც თქვენ ხართ დასაქმებული (დაქირავებული კონტრაქტით ან კონტრაქტის გარეშე) და/ან თვითდასაქმებული (არ გყავთ დამქირავებელი: მუშაობთ ან გიმუშავიათ დამოუკიდებლად ანაზღაურების ან სხვა როგორც ფულადი, ასევე არაფულადი შემოსავლის მიღების მიზნით. მაგალითად, ამუშავებთ მიწას, თევზაობთ ან ნადირობთ შემოსავლის მისაღებად, ხართ დამოუკიდებელი ტაქსის მძღოლი, ყიდით პროდუქტს ბაზარში, ა.შ.), მუშაობთ საოჯახო ბიზნესში (ხართ დაქირავებული, არ მართავთ), კვირაში მინიმუმ 1 საათის განმავლობაში. თუ ამჟამად არ ხართ დასაქმებული და დროებით არ გაქვთ შემოსავალი/ანაზღაურება, ავადმყოფობის/დეკრეტის/შვებულების/გაფიცვის ან მსგავსი მიზეზით, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ თქვენი ჩვეული სამუშაო მდგომარეობა.

**BVQ_05. დასაქმება: ამჟამად გაქვთ ანაზღაურებადი სამუშაო, გქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო წარსულში თუ არასდროს გქონიათ ანაზღაურებადი სამუშაო?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

| | |
|---|---|
| 1 | ამჟამად მაქვს ანაზღაურებადი სამუშაო → *გთხოვთ, გადახვიდეთ* BVQ_0.6 *კითხვაზე* |
| 2 | ამჟამად არ მაქვს ანაზღაურებადი სამუშაო, მაგრამ მქონდა წარსულში → *გთხოვთ, გადახვიდეთ* BVQ_07. *კითხვაზე* |
| 3 | **არასდროს მქონია ანაზღაურებადი სამუშაო** → ***გთხოვთ, გადახვიდეთ BVQ_14 კითხვაზე*** |

**BVQ_06. <u>სამუშაო საათები კვირის განმავლობაში:</u> საშუალოდ, კვირაში რამდენ საათს მუშაობთ ამჟამინდელ ანაზღაურებად სამსახურში, ზეგანაკვეთის ჩათვლით?** *თუ მუშაობთ ერთზე მეტ ანაზღაურებად სამსახურში ან ხართ დასაქმებულიც და/ან თვითდასაქმებული, გთხოვთ, იგულისხმოთ თქვენი სამუშაო საათების საერთო რაოდენობა.* გთხოვთ, მიუთითოთ ქვემოთ:

საშუალოდ, მე ვმუშაობ .................... საათს კვირაში, ზეგანაკვეთის ჩათვლით.

**შემდეგი კითხვა ეხება თქვენს დასაქმებას უფრო დეტალურად. თუ მუშაობთ ერთზე მეტ ანაზღაურებად სამსახურში ან ხართ ერთდროულად დასაქმებულიც და თვითდასაქმებულიც, გთხოვთ, იგულისხმოთ თქვენი მთავარი ანაზღაურებადი სამუშაო. თუ იმყოფებით პენსიაზე ან ამჟამად არ ხართ დასაქმებული, გთხოვთ, იგულისხმოთ თქვენი უკანასკნელი ანაზღაურებადი სამუშაო.**

**BVQ_07. სამუშაო ურთიერთობები**

**BVQ_08. <u>თვითდასაქმებული: დასაქმებულთა რაოდენობა</u>: თქვენ ხართ/იყავით დასაქმებული, თვითდასაქმებული თუ მუშაობთ საოჯახო ბიზნესში?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვარ/ვიყავი დასაქმებული | |
| 2. | ვარ/ვიყავი თვითდასაქმებული, დაქირავებული თანამშრომლების გარეშე | |
| 3. | ვარ/ვიყავი თვითდასაქმებული, დაქირავებული თანამშრომლებით | რამდენი დაქირავებული თანამშრომელი გყავთ/გყოლიათ თქვენი თავის ჩაუთვლელად? გთხოვთ, მიუთითოთ. …………. დასაქმებული |
| 4. | ვმუშაობ/ვმუშაობდი საოჯახო ბიზნესში | |

BVQ_09. სხვა დასაქმებულების ხელმძღვანელობა
BVQ_10. სხვა დასაქმებულების რაოდენობა, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობთ

ხელმძღვანელობთ/ხელმძღვანელობდით სხვა დასაქმებულებს?

| | | |
|---|---|---|
| 1. | დიახ | თუ კი, რამდენ სხვა დასაქმებულს ხელმძღვანელობთ/ხელმძღვანელობდით?<br>*გთხოვთ, მიუთითოთ:* ვხელმძღვანელობ/ვხელმძღვანელობდი ................ დასაქმებულს |
| 2. | არა | |

BVQ_11. ორგანიზაციის ტიპი, მომგებიანი (კომერციული) / არა მომგებიანი (არაკომერციული)

მუშაობთ/გიმუშავიათ მომგებიან (კომერციულ) ან არა მომგებიან (არაკომერციულ) ორგანიზაციაში?
*შესაძლებელია მხოლოდ ორი პასუხი.*

| | |
|---|---|
| 1. | ამჟამად ვმუშაობ/ვმუშაობდი მომგებიან (კომერციულ) ორგანიზაციაში |
| 2. | ამჟამად ვმუშაობ/ვმუშაობდი არა-მომგებიან (არაკომერციულ) ორგანიზაციაში |

BVQ_12. <u>ორგანიზაციის ტიპი: საჯარო/კერძო:</u> მუშაობთ/გიმუშავიათ საჯარო ან კერძო ორგანიზაციაში?
*შესაძლებელია მხოლოდ ორი პასუხი.*

| | |
|---|---|
| 1. | ამჟამად ვმუშაობ/ვმუშაობდი საჯარო ორგანიზაციაში |
| 2. | ამჟამად ვმუშაობ კერძო ორგანიზაციაში |

BVQ_13. საქმიანობა

*[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** თუ რესპონდენტს ჰყავს ერთზე მეტი დამსაქმებელი, ან არის ერთდროულად დასაქმებულიც და თვითდასაქმებულიც, მიუთითოს ის სამუშაო, რომელსაც თავად მიიჩნევს ძირითად სამუშაოდ. თუ რესპონდენტი არის პენსიაზე, ან ამჟამად არ მუშაობს, მიუთითოს მისი უკანასკნელი ძირითადი სამუშაო]*

1. რა სფეროში მუშაობთ/მუშაობდით? *[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** მაგალითად, იგულისხმება ტურიზმი, საბანკო-საფინანსო, მედია, მრეწველობა, ფსიქოლოგია, განათლება, ა.შ.]*
.................................................................................................................................................

2. თქვენი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, რის გაკეთებას უთმობთ/უთმობდით დროის უდიდეს ნაწილს?
*გთხოვთ მიუთითოთ და აღწეროთ მაქსიმალურად დეტალურად.*
.................................................................................................................................................

3. რას საქმიანობს/საქმიანობდა ფირმა/ორგანიზაცია, რომელშიც თქვენ მუშაობთ/მუშაობდით? *გთხოვთ მიუთითოთ და აღწეროთ მაქსიმალურად დეტალურად. [**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** რესპონდენტს შეუძლია მიუთითოს ერთზე მეტი საქმიანობა]*
.................................................................................................................................................
.................................................................................................................................................

**BVQ_14. <u>ძირითადი სტატუსი</u>: ჩამოთვლილთაგან ყველაზე უკეთ რომელი აღწერს თქვენს ამჟამინდელ სტატუსს?** თუ ამჟამად ავადმყოფობის/დეკრეტის/შვებულების/გაფიცვის და ა.შ გამო დროებით არ მუშაობთ, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ჩვეული სამუშაო მდგომარეობა.
*გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

| | |
|---|---|
| 1. | ვარ დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში (დასაქმებული, თვითდასაქმებული ან ვმუშაობ საოჯახო ბიზნესში) |
| 2. | ვარ დაუსაქმებელი და ვეძებ სამსახურს |
| 3. | ვარ მოსწავლე/სტუდენტი (მაშინაც, თუ არდადეგები გაქვთ) |
| 4. | ვარ სტაჟიორი |
| 5. | ვარ ქრონიკულად ავად ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე |
| 6. | ვარ პენსიონერი |
| 7. | დაკავებული ვართ საოჯახო საქმეებით: ვუვლი სახლს, ბავშვებს და ოჯახის სხვა წევრებს |
| 8. | ვარ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ვეწევი |
| 9. | სხვა (გთხოვთ მიუთითოთ) _________________ |

**BVQ_15. <u>მყარი პარტნიორული ურთიერთობა</u>: გყავთ თუ არა მეუღლე ან სტაბილური პარტნიორი, რომელთან ერთად ცხოვრობთ?**
*გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი:*

| | |
|---|---|
| 1. | დიახ, მყავს მეუღლე/პარტნიორი, რომელთან ერთად ვცხოვრობ → *გთხოვთ, გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_16* |
| 2. | დიახ, მყავს მეუღლე/პარტნიორი, თუმცა ერთად არ ვცხოვრობთ → *გთხოვთ, გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_16* |
| 3. | არ მყავს მეუღლე/პარტნიორი → *გთხოვთ, გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_22* |

**შემდეგი კითხვები თქვენი მეუღლის/პარტნიორის დასაქმებას ეხება.** დასაქმებაში იგულისხმება ანაზღაურებადი სამუშაო, როდესაც პირი არის დასაქმებული (დაქირავებული კონტრაქტით ან კონტრაქტის გარეშე) და/ან თვითდასაქმებული (არ ჰყავს დამქირავებელი), მუშაობს საოჯახო ბიზნესში (არის დაქირავებული, არ მართავს), კვირაში მინიმუმ 1 საათის განმავლობაში. თუ ამჟამად პირი არ არის დასაქმებული და დროებით არ აქვს შემოსავალი/ანაზღაურება, ავადმყოფობის /დეკრეტის/შვებულების/გაფიცვის ან მსგავსი მიზეზით, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ მისი ჩვეული სამუშაო მდგომარეობა.

**BVQ_16. მეუღლის/პარტნიორის დასაქმება: ამჟამად აქვს თუ არა თქვენს მეუღლეს/პარტნიორს ანაზღაურებადი სამუშაო, ჰქონდა თუ არა ანაზღაურებადი სამუშაო წარსულში თუ არასდროს ჰქონია ანაზღაურებადი სამუშაო?**
*გთხოვთ აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი:*

| | |
|---|---|
| 1. | ამჟამად აქვს ანაზღაურებადი სამუშაო →*გთხოვთ გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_17* |
| 2. | ამჟამად არ აქვს ანაზღაურებადი სამუშაო, თუმცა წარსულში ჰქონდა →*გთხოვთ გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_18* |
| 3. | არასდროს ჰქონია ანაზღაურებადი სამუშაო →*გთხოვთ გადახვიდეთ კითხვაზე BVQ_21* |

BVQ_17. <u>მეუღლის/პარტნიორის სამუშაო საათები კვირის განმავლობაში</u>: **ზოგადად, კვირაში რამდენ საათს მუშაობს ანაზღაურებად სამსახურში თქვენი მეუღლე/პარტნიორი, ზეგანაკვეთის ჩათვლით?** თუ ერთზე მეტ ანაზღაურებად სამსახურში მუშაობს ან ერთდროულად დასაქმებულიცაა და თვითდასაქმებულიც, გთხოვთ, აღნიშნოთ მისი სამუშაო საათების საერთო რაოდენობა. *გთხოვთ, მიუთითოთ ქვემოთ:*

საშუალოდ, ის მუშაობს ..................... საათს კვირაში, ზეგანაკვეთის ჩათვლით.

**შემდეგი კითხვა ეხება თქვენი მეუღლის/პარტნიორის დასაქმებას უფრო დეტალურად.** თუ ის ერთზე მეტ ანაზღაურებად სამსახურში მუშაობს ან ერთდროულად დასაქმებულიცაა და თვითდასაქმებულიც, გთხოვთ, იგულისხმოთ მისი ძირითადი ანაზღაურებადი სამუშაო. თუ ის პენსიაზეა ან ამჟამად არ არის დასაქმებული, გთხოვთ, იგულისხმოთ მისი ბოლო ანაზღაურებადი სამუშაო. *[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** რესპონდენტი თავად განსაზღვრავს რომელია მისი მეუღლის/პარტნიორის ძირითადი სამუშაო/სტატუსი]*

**BVQ_18. მეუღლის/პარტნიორის სამუშაო ურთიერთობები**

თქვენი მეუღლე/პარტნიორი არის/იყო დასაქმებული, თვითდასაქმებული თუ კერძო საოჯახო ბიზნესით დაკავებული? *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

| | |
|---|---|
| 1. | დასაქმებული |
| 2. | თვითდასაქმებული, დაქირავებული თანამშრომლების გარეშე |
| 3. | თვითდასაქმებული, დაქირავებული თანამშრომლებით |
| 4. | მუშაობს საოჯახო ბიზნესში |

BVQ_19. <u>მეუღლის/პარტნიორის მიერ სხვა დასაქმებულების ხელმძღვანელობა:</u> **ხელმძღვანელობს/ხელმძღვანელობდა თუ არა თქვენი მეუღლე/პარტნიორი სხვა დასაქმებულებს?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. დიახ
2. არა

BVQ_20. მეუღლის/პარტნიორის საქმიანობა

*[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** თუ რესპონდენტის მეუღლეს/პარტნიორს ჰყავს ერთზე მეტი დამსაქმებელი, ან არის ერთდროულად დასაქმებულიც და თვითდასაქმებულიც, მიუთითოს ის სამუშაო, რომელსაც თავად რესპონდენტი მიიჩნევს მისი მეუღლის/პარტნიორის ძირითად სამუშაოდ. თუ რესპონდენტის მეუღლე/პარტნიორი არის პენსიაზე, ან ამჟამად არ მუშაობს, მიუთითოს მისი უკანასკნელი ძირითადი სამუშაო]*

**1. რა სფეროში მუშაობს/მუშაობდა თქვენი მეუღლე/პარტნიორი?** *[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** მაგალითად, იგულისხმება ტურიზმი, საბანკო-საფინანსო, მედია, მრეწველობა, ფსიქოლოგია ა.შ.]*

..........................................................................................................................................................................

**2. თქვენი მეუღლის/პარტნიორის ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, რის გაკეთებას უთმობს/უთმობდა დროის უდიდეს ნაწილს?** გთხოვთ მიუთითოთ და აღწეროთ მაქსიმალურად დეტალურად.

..........................................................................................................................................................................

**3. რას საქმიანობს/საქმიანობდა თქვენი მეუღლის/პარტნიორის ფირმა/ორგანიზაცია, რომელშიც ის მუშაობს/მუშაობდა?** გთხოვთ მიუთითოთ და აღწეროთ მაქსიმალურად დეტალურად. *[**ინტერვიუერის** საყურადღებოდ: რესპონდენტს შეუძლია მიუთითოს ერთზე მეტი საქმიანობა]*

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

**BVQ_21. <u>მეუღლის/პარტნიორის სტატუსი</u>: ჩამოთვლილთაგან ყველაზე უკეთ რომელი აღწერს თქვენი მეუღლის/პარტნიორის ამჟამინდელ სტატუსს? თუ ამჟამად იგი ავადმყოფობის/დეკრეტის/შვებულების/გაფიცვის და ა.შ გამო დროებით არ მუშაობს, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ მისი ჩვეული სამუშაო მდგომარეობა.**

*გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. დასაქმებულია (დაქირავებულია, თვითდასაქმებულია ან მუშაობს საოჯახო ბიზნესში)
2. უმუშევარია და ეძებს სამსახურს
3. არის მოსწავლე/სტუდენტი (მაშინაც თუ არდადეგები აქვს)
4. სტაჟიორია
5. ქრონიკულად ავადაა ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა
6. პენსიაზეა
7. დაკავებულია საოჯახო საქმეებით: უვლის სახლს, ბავშვებს და ოჯახის სხვა წევრებს
8. სავალდებულო სამხედრო სამსახურშია ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ეწევა
9. სხვა (გთხოვთ მიუთითოთ): ________________________

**BVQ_22. <u>პროფკავშირების წევრობა:</u> ხართ/ყოფილხართ თუ არა ოდესმე პროფკავშირის ან მსგავსი ორგანიზაციის წევრი? თუ პასუხი დადებითია, ამჟამადაც წევრი ხართ თუ მხოლოდ წარსულში იყავით?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. დიახ, ამჟამად წევრი ვარ
2. დიახ, წარსულში ვიყავი წევრი, თუმცა ამჟამად აღარ ვარ
3. არასდროს ვყოფილვარ წევრი

BVQ_23. <u>რელიგია:</u> მიაკუთვნებთ თუ არა თავს რომელიმე რელიგიას? თუ მიაკუთვნებთ, რომელს? *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. არც ერთ რელიგიას არ მივაკუთვნებ თავს > **გადადით BVQ_25 კითხვაზე**
2. მართლმადიდებელი
3. გრიგორიანელი
4. კათოლიკე
5. პროტესტანტი
6. სხვა ქრისტიანი
7. იუდეველი
8. მუსულმანი
9. ბუდისტი
10. ინდუისტი
11. სხვა აზიური რელიგიები
12. სხვა რელიგიები

**BVQ_24. რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა: ისეთი განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, როგორიცაა ქორწილები, პანაშვიდები და სხვა, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. კვირაში რამდენჯერმე ან უფრო ხშირად
2. კვირაში ერთხელ
3. თვეში 2-ჯერ ან 3-ჯერ
4. თვეში ერთხელ
5. წელიწადში რამდენჯერმე
6. წელიწადში ერთხელ
7. უფრო იშვიათად, ვიდრე წელიწადში ერთხელ
8. არასდროს

**BVQ_25. სოციალურ კიბეზე საკუთარი თავის მიკუთვნება**

**ჩვენ საზოგადოებაში არსებობენ ჯგუფები, რომლებიც უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე დგანან და ჯგუფები, რომლებიც შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე იმყოფებიან. ქვემოთ მოცემულია სკალა მაღლიდან დაბალი სოციალური საფეხურების მიმართულებით. რომელ საფეხურს მიაკუთვნებთ თქვენს თავს ამ სკალაზე?**

*გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი უჯრა მოცემულ სკალაზე.*

სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ჯგუფი — სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი ჯგუფი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |

**BVQ_26. რესპონდენტის მონაწილეობა უკანასკნელ ეროვნულ არჩევნებში**

**ზოგი ადამიანი არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, როგორც ამომრჩეველი (არ იყენებს ხმის მიცემის უფლებას). მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებში?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. დიახ, მივიღე მონაწილეობა — > გადადით BVQ_27 კითხვაზე

2. არა, არ მიმიღია მონაწილეობა — > გადადით BVQ_28 კითხვაზე

0. არა, არ მქონდა ბოლო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება — > გადადით BVQ_28 კითხვაზე

**BVQ_27. პარტია, რომელსაც ხმა მისცა უკანასკნელ არჩევნებზე რესპონდენტმა**

**რომელ პარტიას მიეცით ხმა 2014 წლის 15 ივნისის საქართველოს თვითმმართველობის არჩევნებში?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

| | **სახელწოდება** |
|---|---|
| 1. | „გიორგი გაჩეჩილაძე- მწვანეთა პარტია" |
| 2. | „უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე" |
| 3. | „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა" |
| 4. | „ირაკლი ოქრუაშვილი - ქართული პარტია" |
| 5. | „დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" |
| 6. | „ერთიანობის დარბაზი" |
| 7. | „ჩვენი საქართველო" |
| 8. | შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია |
| 9. | მომავალი საქართველო |
| 10. | ქრისტიან დემოკრატიული პარტია (ქრისტიან დემოკრატები) |
| 11. | მერაბ კოსტავას საზოგადოება |
| 12. | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია |
| 13. | სახალხო მოძრაობა |
| 14. | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) |
| 15. | ირაკლი ღლონტი- რეფორმატორები |
| 16. | სალომე ზურაბიშვილი- საქართველოს გზა |
| 17. | სახალხო პარტია |
| 18. | საქართველოს მშრომელთა საბჭო |
| 19. | ხალხის პარტია |
| 20. | ,,თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა" |
| 21. | ბლოკი ,,არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) |
| 22. | ბლოკი ,,ქართული ოცნება" (ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, რესპუბლიკური პარტია, ეროვნული ფორუმი) |
| 23. | ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს!" (,,სამართლიანი საქართველოსთვის", ,,ევროპელი დემოკრატები") |
| 24. | ბლოკი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია" ) |
| 25. | სხვა (გთხოვთ მიუთითოთ) ________________________ |

**BVQ_28. ეთნიკური ჯგუფი: ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფებიდან რომელ ჯგუფს ან ჯგუფებს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს?** *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი ან ორი ჯგუფი.*

**ეთნიკური ჯგუფები**

1 ქართველი
2 აზერბაიჯანელი
3 სომეხი
4 სხვა კავკასიური ეთნიკური ჯგუფი (ოსი, აფხაზი, ქისტი და სხვა)
5 რუსი
6 ებრაელი
7 ბერძენი
8 უკრაინელი
9 ასირიელი
10 იეზიდი/ქურთი
11 სხვა (გთხოვთ მიუთოთ) ______________

**BVQ_29. ოჯახის წევრების რაოდენობა**
**BVQ_30. ოჯახში 6-17 წლამდე ბავშვების რაოდენობა**
**BVQ_31. ოჯახში 6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა**

**თქვენი ჩათვლით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენს შინამეურნოებაში [ოჯახში]?** *[ინტერვიუერის საყურადღებოდ: შინამეურნეობაში/ოჯახში ითვლება მხოლოდ იმ ადამიანების ერთობა, რომლებიც იზიარებენ საერთო საცხოვრებელ სივრცეს, და აქვთ საერთო ფინანსები] გთხოვთ, აღნიშნოთ ცხრილში.*

| | რაოდენობა |
|---|---|
| 18 წლის და 18 წელს ზემოთ მოზრდილები | |
| ბავშვები 6-17 წლამდე | |
| ბავშვები 6 წლამდე | |
| სულ რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენს ოჯახში | |

**BVQ_32. პირადი შემოსავალი : საშუალოდ, რამდენია თქვენი დაბეგრილი (ხელზე ასაღები) თვიური შემოსავალი ყველა არსებული წყაროდან?**

ჩემი პირადი თვიური დაბეგრილი შემოსავალია -------- ლარი.

*თუ მარტო ცხოვრობთ, გთხოვთ, გადახვიდეთ BVQ_34 კითხვაზე.*

BVQ_33. ოჯახის შემოსავალი: რამდენია თქვენი ოჯახის დაბეგრილი საშუალო თვიური შემოსავალი?

ოჯახის საშუალო დაბეგრილი შემოსავალი -------------- ლარი

BVQ_34. ოჯახური მდგომარეობა/სტატუსი: როგორია თქვენი ამჟამინდელი სამართლებრივი ოჯახური მდგომარეობა? *გთხოვთ, აღნიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი.*

1. დაქორწინებული (იურიდიული და/ან ეკლესიური ქორწინება)
2. გაშორებული (ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, მაგრამ კვლავ იურიდიულ და/ან ეკლესიურ ქორწინებაში ვიმყოფებით)
3. განქორწინებული (იურიდიული და/ან ეკლესიური ქორწინება გაუქმებულია)
4. ქვრივი
5. არასდროს ვყოფილვარ დაქორწინებული
6. სხვა (გთხოვ მიუთითოთ) ________________________

BVQ_35. რესპონდენტის მამის დაბადების ადგილი: რომელ ქვეყანაში დაიბადა თქვენი მამა? *გთხოვთ, მიუთითეთ ქვეყნის სახელწოდება.*

მამაჩემი დაიბადა -----------------

BVQ_36. რესპონდენტის დედის დაბადების ადგილი: რომელ ქვეყანაში დაიბადა თქვენი დედა? *გთხოვთ, მიუთითეთ ქვეყნის სახელწოდება.*

დედაჩემი დაიბადა .......................

BVQ_37. საცხოვრებელი ადგილის ტიპი: როგორ აღწერდით ადგილს, სადაც ცხოვრობთ? *გთხოვთ, აღნიშნოთ ერთი პასუხი.*

1. დიდი ქალაქი
2. დიდი ქალაქის გარეუბანი
3. საშუალო ზომის ქალაქი
4. პატარა ქალაქი
5. სოფელი

# სამუშაო ორიენტაციები 2015

## სამუშაოს პრიორიტეტულობა

**1. ზოგადად, როდესაც სამსახურის შესახებ ფიქრობთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამსახური მხოლოდ შემოსავლის მიღების გზაა და მეტი არაფერი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ანაზღაურებადი სამსახურის ქონა მაშინაც კი კარგი იქნებოდა, როდესაც ფული არ მჭირდება | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამუშაო ღირებულებები; სოციალური განზომილება

**2. პირადად თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია სამსახურთან დაკავშირებული ქვემოთ მოცემული მახასიათებლები?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის

| | ძალიან მნიშვნელოვანია | მნიშვნელოვანია | არც მნიშვნელოვანია, არც უმნიშვნელო | უმნიშვნელოა | საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამსახურის სტაბილურობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. მაღალი ხელფასი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. დაწინაურების კარგი შესაძლებლობები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 4. საინტერესო საქმე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 5. დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 6. სამუშაო, რომელიც შესაძლებლობას გაძლევს, დაეხმარო სხვას | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 7. საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთების შესაძლებლობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 8. სამუშაო საათების ან დღეების დამოუკიდებლად განაწილების შესაძლებლობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 9. სამსახური, რომელიც სხვა ადამიანებთან არაფორმალურ ურთიერთობებს მოიცავს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამსახურსა და ოჯახურ ცხოვრებას შორის ბალანსი

**3. ოჯახური ცხოვრების გამო, თუ გითქვამთ, ან მომავალში თუ იტყვით უარს ხელსაყრელ სამუშაო შემოთავაზებაზე?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. დიახ, მითქვამს და, შესაძლოა, მომავალშიც ასე მოვიქცე — 1
2. დიახ, მითქვამს, მაგრამ მომავალში, ალბათ, ასე არ მოვიქცევი — 2
3. არა, არ მითქვამს, მაგრამ მომავალში, შესაძლოა, უარი ვთქვა — 3
4. არა, არ მითქვამს და, სავარაუდოდ, არც მომავალში ვიტყვი უარს — 4
5. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

**4. ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე თუ დარჩენილხართ ან მომავალში თუ დარჩებით ისეთ სამსახურში, რომელიც არ გაკმაყოფილებთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. დიახ, დავრჩენილვარ და, შესაძლოა, მომავალშიც ასე მოვიქცე — 1
2. დიახ, დავრჩენილვარ, მაგრამ მომავალში, ალბათ, ასე არ მოვიქცევი — 2
3. არა, არ დავრჩენილვარ, მაგრამ მომავალში, შესაძლოა, დავრჩე — 3
4. არა, არ დავრჩენილვარ და, სავარაუდოდ არც მომავალში დავრჩები — 4
5. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

## კონფლიქტი და სოციალური გარიყვა: დისკრიმინაცია

**5. განგიცდიათ თუ არა დისკრიმინაცია დამსაქმებლების მხრიდან ბოლო 5 წლის მანძილზე, მაგალითად, სამსახურში მიღების, ხელფასის მომატების ან დაწინაურების დროს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | დიახ | 1 | გადადით მე-6 კითხვაზე |
| 2. | არა | 2 | გადადით მე-7 კითხვაზე |
| 3. | არ მიმუშავია ან არ მიძებნია სამსახური | 0 | გადადით მე-7 კითხვაზე |

**6. თქვენი აზრით, რა იყო დისკრიმინაციის მთავარი მიზეზი?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. ჩემი ასაკი 1
2. ჩემი ეთნიკური კუთვნილება 2
3. ჩემი სქესი 3
4. ჩემი რელიგია 4
5. ჩემი შეზღუდული შესაძლებლობები/ მენტალური ან ფიზიკური დაავადება 5
6. ჩემი ოჯახური მდგომარეობა/ ოჯახური პასუხისმგებლობა 6
7. ჩემი პოლიტიკური შეხედულებები 7
8. სხვა მიზეზი 8
9. მიჭირს პასუხის გაცემა 88

**7. გამოგიცდიათ თუ არა შევიწროვება ხელმძღვანელების ან თანამშრომლების მხრიდან ბოლო 5 წლის მანძილზე, მაგალითად, რაიმე სახის დაშინება, მუქარა, ფიზიკური შეურაცხყოფა ან ფსიქოლოგიური ძალადობა?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. დიახ 1
2. არა 2
3. არ მაქვს სამუშაო / არ მყავს ხელმძღვანელები/თანამშრომლები 0

## სოლიდარობა და კონფლიქტი

**8. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმებ ი | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დასაქმებულებს საკუთარი ინტერესების დასაცავად ძლიერი პროფკავშირები სჭირდებათ | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ძლიერი პროფკავშირები ცუდია საქართველოს ეკონომიკისათვის | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## დასაქმებასთან დაკავშირებული გეგმები

**9. დავუშვათ, თქვენ შეგიძლიათ ამჟამინდელ სამუშაო განაკვეთთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. ჩამოთვლილთაგან რომელს აირჩევდით?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. სრული განაკვეთი (40 სამუშაო საათი კვირაში) — 1
2. ნახევარი (10-20 საათი კვირაში) — 2
3. 10 საათზე ნაკლები სამუშაო დრო კვირაში — 3
4. საერთოდ არ მინდა ანაზღაურებადი სამუშაო — 4
5. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

## ანაზღაურებადი სამუშაო

**10. ამჟამად გაქვთ თუ არა ანაზღაურებადი სამსახური?** [***ინტერვიუერის საყურადღებოდ:*** იგულისხმება როგორც დასაქმებულები, ასევე თვითდასაქმებულები, და ისინი, ვინც დროებით შვებულებაშია/დეკრეტშია/ან სხვა მიზეზით არ მუშაობს, თუმცა აქვს სამსახური]

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | დიახ | 1 | გადადით მე-11 კითხვაზე |
| 2. | არა | 2 | გადადით 32-ე კითხვაზე |

**თუ რესპონდენტი დასაქმებულია/თვითდასაქმებული, ან დროებით არ მუშაობს შვებულების, დეკრეტის, ან სხვა მიზეზის გამო, მაგრამ აქვს სამსახური, სცემს პასუხს კითხვებს 11-31. თუ რესპონდენტი დაუსაქმებელია, გადადით კითხვაზე 32.**

## სამსახურსა და ცხოვრებას შორის ბალანსი

**11. სამუშაო საათებზე, მათ შორის ზეგანაკვეთურ სამუშაოსა და გამომუშავებულ ანაზღაურებაზე ფიქრისას, ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ დებულებას აირჩევდით, მხოლოდ ერთი მათგანის არჩევის საშუალება რომ გქონდეთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. უფრო მეტი სამუშაო საათი და უფრო მაღალი ანაზღაურება — 1
2. იმდენივე სამუშაო საათი, რამდენსაც ახლა მუშაობთ და იმდენივე ანაზღაურება — 2
3. ნაკლები სამუშაო საათი და ნაკლები ანაზღაურება — 3
4. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

**12. გთხოვთ, მიუთითოთ რამდენად ეთანხმებით თითოეულ დებულებებს თქვენი ძირითადი სამუშაოს შესახებ?** [***ინტერვიუერის საყურადღებოდ:*** საუბარია მხოლოდ იმ სამუშაოზე, რომელსაც რესპონდენტი მთავარ/ძირითად სამუშაოდ მიიჩნევს]

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმებ ი | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
| 1. ჩემი სამსახური უსაფრთხოა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ჩემი შემოსავალი მაღალია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. ჩემი დაწინაურების/წინსვლის შესაძლებლობები მაღალია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 4. ჩემი სამუშაო საინტერესოა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 5. შემიძლია, დამოუკიდებლად ვიმუშაო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 6. სამსახურში შემიძლია დავეხმარო სხვებს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 7. ჩემი სამუშაო საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 8. სამსახურში მაქვს არაფორმალური ურთიერთობა სხვებთან | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამსახურთან დაკავშირებული სუბიექტური გამოცდილება

**13. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი სამუშაო პირობები მოცემული დებულებების საფუძველზე.**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ყოველთვის | ხშირად | ზოგჯერ | ძალიან იშვიათად | არასოდეს | მიჭირს პასუხის გაცემა |
| 1. რამდენად ხშირად გიწევთ მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულება თქვენს სამსახურში? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. რამდენად ხშირად არის სტრესული სიტუაცია თქვენს სამსახურში? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## არასტანდარტული დასაქმება

**14. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი სამუშაო პირობები მოცემული დებულებების საფუძველზე.**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | ყოველთვის | ხშირად | ზოგჯერ | ძალიან იშვიათად | არასოდეს | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რამდენად ხშირად მუშაობთ სახლიდან ჩვეულებრივი სამუშაო საათების დროს? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. რამდენად ხშირად მოითხოვს თქვენი საქმე შაბათ-კვირას მუშაობას? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამუშაო საათების განსაზღვრის შესაძლებლობა

**15. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან, ყველაზე უკეთ რომელი აღწერს თუ როგორ არის თქვენი სამუშაო საათები განსაზღვრული?** [***ინტერვიუერის საყურადღებოდ:*** სამუშაო საათებში იგულისხმება დრო, როდესაც იწყებს და ამთავრებს მუშაობას და არა კვირის ან თვის განმავლობაში არსებული სამუშაო საათების ჯამი].

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

| | |
|---|---|
| 1. სამუშაო საათების დაწყებას და დამთავრებას განსაზღვრავს ჩემი დამსაქმებელი და არ შემიძლია მისი შეცვლა დამოუკიდებლად. | 1 |
| 2. შემიძლია თავად გადავწყვიტო სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო, გარკვეული ლიმიტის ფარგლებში. | 2 |
| 3. მაქვს თავისუფლება თავად გადავწყვიტო სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო. | 3 |

## არასტანდარტული სამუშაო

**16. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან ყველაზე უკეთ რომელი აღწერს ჩვეულებრივ სამუშაო განრიგს თქვენს ძირითად სამსახურში?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

| | |
|---|---|
| 1. მაქვს რეგულარული სამუშაო განრიგი ან ცვლა (დღის, საღამოს და ღამის) | 1 |
| 2. ჩემი სამუშაო განრიგი ან ცვლა რეგულარულად იცვლება (მაგალითად, დღის ცვლა საღამოს, ან ღამის ცვლით) | 2 |
| 3. მაქვს სამუშაო განრიგი, სადაც ყოველდღიური სამუშაო საათები ჩემი დამსაქმებლის მიერ განისაზღვრება მოკლევადიანი გაფრთხილების საფუძველზე. | 3 |
| 4. მიჭირს პასუხის გაცემა. | 88 |

## სამუშაოს ორგანიზების შესაძლებლობა

**17. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან ყველაზე უკეთ რომელი აღწერს თუ როგორაა ორგანიზებული თქვენი ყოველდღიური სამუშაო?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. თავისუფალად შეიძლია სამუშაო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება — 1
2. შეიძლია სამუშაო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება, გარკვეული შეზღუდვებით. — 2
3. არ შემიძლია სამუშაო აქტივობების თავისუფლად დაგეგმვა/ორგანიზება — 3
4. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

## სამსახურსა და ოჯახურ ცხოვრებას შორის ბალანსი

**18. რამდენად რთული იქნებოდა თქვენთვის სამუშაო საათებიდან 1 ან 2 საათი პირადი ან ოჯახური საკითხების მოსაგვარებლად რომ გამოგეყოთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. საერთოდ არ იქნებოდა რთული — 1
2. არც ისე რთული იქნებოდა — 2
3. გარკვეულწილად რთული იქნებოდა — 3
4. ძალიან რთული იქნებოდა — 4
5. მიჭირს პასუხის გაცემა — 88

**19. რამდენად ხშირად გრძნობთ, რომ...**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | ყოველთვის | ხშირად | ზოგჯერ | ძალიან იშვიათად | არასოდეს | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თქვენს ოჯახურ ცხოვრებას ხელს უშლის თქვენი სამსახურებრივი ვალდებულებები? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. თქვენს სამუშაოს ხელს უშლის თქვენი ოჯახური ვალდებულებები? | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## ადამიანური კაპიტალი

**19. რამდენად იყენებთ თქვენ წინა სამსახურში მიღებულ გამოცდილებას და/ან სამუშაო უნარებს ამჟამინდელ სამსახურში?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | |
|---|---|
| 1. თითქმის არ ვიყენებ | 1 |
| 2. იშვიათად ვიყენებ | 2 |
| 3. ხშირად ვიყენებ | 3 |
| 4. თითქმის ყოველთვის ვიყენებ | 4 |
| 5. მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

**21. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, თუ გაგივლიათ რაიმე ტრენინგი სამუშაო უნარების გასაუმჯობესებლად, თქვენს სამსახურში ან მის გარეთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | |
|---|---|
| 1. დიახ | 1 |
| 2. არა | 2 |
| 3. მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

## სოლიდარობა და კონფლიქტი

**22. ზოგადად, როგორ აღწერდით ურთიერთობებს თქვენ სამსახურში?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | ძალიან კარგი | საკმაოდ კარგი | არც კარგი, არც ცუდი | საკმაოდ ცუდი | ძალიან ცუდი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მენეჯერებსა და დასაქმებულებს შორის | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. თანამშრომლებს/კოლეგებს შორის | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამუშაოს შედეგები

**23. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი (ძირითადი) სამსახურით?** [*ინტერვიუერის საყურადღებოდ:* საუბარია რესპონდენტის ძირითად/მთავარ სამუშაოზე, თუ მას რამდენიმე სამსახური აქვს]

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | | |
|---|---|---|
| 1. | სრულიად კმაყოფილი | 1 |
| 2. | ძალიან კმაყოფილი | 2 |
| 3. | გარკვეულწილად კმაყოფილი | 3 |
| 4. | არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო | 4 |
| 5. | გარკვეულწილად უკმაყოფილო | 5 |
| 6. | ძალიან უკმაყოფილო | 6 |
| 7. | სრულიად უკმაყოფილო | 7 |
| 8. | მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

**24. გთხოვთ, მიუთითოთ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩემი ფირმის ან ორგანიზაციის წარმატებისთვის, თანახმა ვარ, ვიმუშაო უფრო მეტი დატვირთვით | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ვამაყობ, რომ ვმუშაობ ჩემი ფირმისთვის ან ორგანიზაციისთვის | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. უარს ვიტყოდი სხვა მეტად ანაზღაურებად სამსახურზე იმისთვის, რომ დავრჩე ამ ორგანიზაციაში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## ლოიალობა პროფესიის მიმართ

**25. თქვენი საქმიანობის ტიპზე ფიქრისას, დამოუკიდებლად იმ ორგანიზაციისა თუ კომპანიისა, სადაც მუშაობთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შანსი რომ მქონდეს, ჩემ ამჟამინდელ საქმიანობას შევცვლიდი რაღაც განსხვავებულით | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ვამაყობ, ჩემი ამჟამინდელი საქმიანობით | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## დასაქმების შესაძლებლობა/ახალი სამსახური

**26. როგორ ფიქრობთ, რამდენად რთული იქნება თქვენთვის ახალი სამუშაოს მოძიება, რომელიც თქვენს ამჟამინდელ სამსახურს არ ჩამოუვარდება?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. ძალიან ადვილი 1
2. საკმაოდ ადვილი 2
3. არც ადვილი, არც რთული 3
4. საკმაოდ რთული 4
5. ძალიან რთული 5
6. მიჭირს პასუხის გაცემა 88

**27. ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად მოსალოდნელია, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში, თქვენ შეეცდებით, მოძებნოთ სხვა სამსახური?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. სრულიად მოსალოდნელია 1
2. მოსალოდნელია 2
3. ნაკლებ მოსალოდნელია 3
4. სრულიად არ არის მოსალოდნელი 4
5. მიჭირს პასუხის გაცემა 88

**28. ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად გაღელვებთ თქვენი ამჟამინდელი სამსახურის დაკარგვის ალბათობა?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

1. ძალიან მაღელვებს 1
2. გარკვეულწილად მაღელვებს 2
3. ნაკლებ მაღელვებს 3
4. საერთოდ არ მაღელვებს 4

## სამუშაოს ორგანიზების შესაძლებლობა

**29. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის |
|---|

| უმუშევარი რომ არ დავრჩე, თანახმა ვარ ... | სრულიად ვეთანხმებ ი | ვეთანხმე ბი | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმებ ი | სრულია დ არ ვეთანხმე ბი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ისეთ სამსახურზე, რომელიც მოითხოვს ახალ უნარებს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ვიმუშაო დაბალანაზღაურებად პოზიციაზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. დროებით სამუშაოზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 4. დიდი დრო მოვანდომო სამსახურამდე მისვლას | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 5. საცხოვრებლად გადავიდე სხვა ადგილას ქვეყნის ფარგლებში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 6. საცხოვრებლად გადავიდე სხვა ქვეყანაში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

### არასტანდარტული დასაქმება

**30. ძირითადი სამსახურის გარდა, ბოლო 12 თვის განმავლობაში, გქონიათ თუ არა დამატებითი ანაზღაურებადი სამუშაო?**

გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u>

| | | |
|---|---|---|
| 1. დიახ, მთელი ამ ხნის განმავლობაში | 1 | გადადით 31-ე კითხვაზე |
| 2. დიახ, უმეტესი პერიოდის განმავლობაში | 2 | გადადით 31-ე კითხვაზე |
| 3. დიახ, შედარებით მცირე პერიოდის განმავლობაში | 3 | გადადით 31-ე კითხვაზე |
| 4. არა | 4 | გადადით **<u>კითხვაზე O1</u>** |

**31. ამ 12 თვის განმავლობაში, როგორი იყო თქვენი დამატებითი სამუშაოდან მიღებული შემოსავალი თქვენ ძირითად სამსახურთან შედარებით?**

გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u>

ჩემი დამატებითი სამუშაოდან გამოვიმუშავე ...

| | |
|---|---|
| 1. გაცილებით ნაკლები, ვიდრე ძირითადი სამსახურიდან | 1 |
| 2. ნაკლები, ვიდრე ძირითადი სამსახურიდან | 2 |
| 3. თითქმის იმდენივე, რამდენიც ძირითადი სამსახურიდან | 3 |
| 4. მეტი, ვიდრე ძირითადი სამსახურიდან | 4 |
| 5. გაცილებით მეტი, ვიდრე ძირითადი სამსახურიდან | 5 |
| 6. მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

**გთხოვთ, კითხვებს 32-44 უპასუხოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამჟამად არ ხართ დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში.**

### ანაზღაურებად სამსახურთან დაკავშირებული გამოცდილება

**32. ოდესმე გიმუშავიათ თუ არა ანაზღაურებად სამსახურში ერთი წლის ან მეტი ხნის განმავლობაში?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

| | | |
|---|---|---|
| 1. დიახ | 1 | გადადით 33-ე კითხვაზე |
| 2. არა | 2 | გადადით 36-ე კითხვაზე |

### სამსახურის შეწყვეტის თვე და წელი

**33.1 როდის დასრულდა თქვენი ბოლო ანაზღაურებადი სამსახური?**
___________ (წელი)

**33.2 გთხოვთ, დააკონკრეტოთ თვეც**

___________ (თვე)

### ბოლო სამსახურის შედეგი

**34. რამდენად კმაყოფილი იყავით წინა სამსახურით?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

| | | |
|---|---|---|
| 1. | სრულიად კმაყოფილი | 1 |
| 2. | ძალიან კმაყოფილი | 2 |
| 3. | გარკვეულწილად კმაყოფილი | 3 |
| 4. | არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო | 4 |
| 5. | გარკვეულწილად უკმაყოფილო | 5 |
| 6. | ძალიან უკმაყოფილო | 6 |
| 7. | სრულიად უკმაყოფილო | 7 |
| 8. | მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

### ბოლო სამსახურის დასრულების მიზეზი

**35. რა იყო თქვენი სამსახურის დატოვების მთავარი მიზეზი?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. მივაღწიე საპენსიო ასაკს [1]
2. ადრე გავედი პენსიაზე, საკუთარი ნებით [2]
3. ადრე გავედი პენსიაზე, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ [3]
4. გავხდი შშმ პირი *[**ინტერვიუერის საყურადღებოდ:** შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე]* [4]
5. ჩემი სამსახური დაიხურა [5]
6. გამათავისუფლეს [6]
7. ჩემი მუშაობის ვადა/კონტრაქტი ამოიწურა [7]
8. ოჯახური ვალდებულებების გამო [8]
9. დავქორწინდი [9]

## სამსახურის სასურველობა

**36. გსურთ, რომ გქონდეთ ანაზღაურებადი სამსახური ამჟამად ან მომავალში?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

| | | |
|---|---|---|
| 1. დიახ | 1 | გადადით 37-ე კითხვაზე |
| 2. არა | 2 | გადადით 43-ე კითხვაზე |

## ახალი სამსახური

**37. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია, რომ სამსახური იშოვოთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. სრულიად მოსალოდნელია [1]
2. მოსალოდნელია [2]
3. ნაკლებ მოსალოდნელია [3]
4. სრულიად არ არის მოსალოდნელი [4]
5. მიჭირს პასუხის გაცემა [88]

**38. რამდენად განიცდით, რომ შესაძლოა სამსახური ვერ იშოვოთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. ძალიან განვიცდი [1]
2. გარკვეულწილად განვიცდი [2]
3. ნაკლებ განვციდი [3]
4. საერთოდ არ განვიცდი [4]

## სამსახური და დასაქმებულის ფლექსიბურობა

**39. რამდენად ეთანხმებით მოცემულ დებულებებს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> თითოეული დებულებისთვის |
|---|

| იმისთვის, რომ სამსახური მქონდეს, თანახმა ვარ … | სრულიად ვეთანხმებ ი | ვეთანხმ ები | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმებ ი | სრულიად არ ვეთანხმე ბი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ისეთ სამსახურზე, რომელიც მოითხოვს ახალ უნარებს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. ვიმუშაო დაბალანაზღაურებად პოზიციაზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. დროებით სამუშაოზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 4. დიდი დრო მოვანდომო სამსახურამდე მისვლას | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 5. საცხოვრებლად გადავიდე სხვა ადგილას ქვეყნის ფარგლებში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 6. საცხოვრებლად გადავიდე სხვა ქვეყანაში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## სამსახურის ძიებასთან დაკავშირებული აქტივობები

**40. დასაქმების მიზნით, ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიგიმართავთ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებებისთვის?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის

| | არა | დიახ, ერთი-ორჯერ | დიახ, ორზე მეტჯერ |
|---|---|---|---|
| 1. დარეგისტრირებულხართ დასაქმების საჯარო სააგენტოში? | 1 | 2 | 3 |
| 2. დარეგისტრირებულხართ დასაქმების კერძო სააგენტოში? | 1 | 2 | 3 |
| 3. გამოხმაურებიხართ განცხადებებს დასაქმების შესახებ? | 1 | 2 | 3 |
| 4. გამოგიქვეყნებიათ განცხადება, რომ ეძებთ სამსახურს, მაგალითად ინტერნეტით ან გაზეთებში? | 1 | 2 | 3 |
| 5. მიგიმართავთ პირდაპირ დამსაქმებლისთვის? | 1 | 2 | 3 |
| 6. მიგიმართავთ თხოვნით ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის ან კოლეგებისთვის, რომ სამსახურის შოვნაში დაგეხმარებოდნენ? | 1 | 2 | 3 |

## ადამიანური კაპიტალი

**41. ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე სახის ტრენინგში სამუშაო უნარების გაუმჯობესების მიზნით?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი

| | |
|---|---|
| 1. დიახ | 1 |
| 2. არა | 2 |
| 3. მიჭირს პასუხის გაცემა | 88 |

## სამსახურის ძიებასთან დაკავშირებული აქტივობები

**42. ეძებთ თუ არა ამჟამად სამსახურს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. დიახ 1
2. არა 2

## მატერიალური უზრუნველყოფა

**43. თქვენი მატერიალური უზრუნველყოფის <u>მთავარი წყაროა</u>... *[ინტერვიუერის საყურადღებოდ:*** *მატერიალური უზრუნველყოფა არ მოიცავს მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფას, არამედ გულისხმობს სხვადასხვა ატრიბუტებს, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი]*

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. ამჟამინდელი მეუღლე/პარტნიორი 1
2. ოჯახის სხვა წევრები 2
3. პენსია (კერძო/სახელმწიფო) 3
4. უმუშევრობის შეღავათები 4
5. სოციალური დახმარება 5
6. პერიოდული სამუშაო 6
7. სტუდენტური სესხი/სტიპენდია 7
8. დანაზოგი 8
9. ინვესტიციები ან ქირა 9
10. სხვა 95

**44. რამდენად განიცდით, რომ შესაძლოა მატერიალური უზრუნველყოფის ძირითადი წყარო დაკარგოთ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ <u>მხოლოდ ერთი პასუხი</u> |
|---|

1. ძალიან განვიცდი 1
2. გარკვეულწილად განვიცდი 2
3. ნაკლებ განვციდი 3
4. საერთოდ არ განვიცდი 4

**45. უმცროსი შვილის ასაკი: რამდენი წლისაა ყველაზე უმცროსი ბავშვი თქვენს შინამეურნოებაში/ოჯახში?**

**ყველაზე უმცროსი ბავშვის ასაკი:** _______წლის

არარელევანტურია/ შინამეურნოებაში [ოჯახში] ბავშვები არ არიან 97

## ბოლოდროინდელი სამუშაო გამოცდილება

**O1. გიმუშავიათ თუ არა ანაზღაურებად სამსახურში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი

1. დიახ [1] გადადით კითხვაზე O2
2. არა [2] გადადით კითხვაზე O3

**O2. გამოგიცდიათ თუ არა სამუშაოსთან დაკავშირებული ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ცვლილება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის

| | არა | დიახ, ერთხელ | დიახ, ორჯერ | დიახ, სამჯერ | დიახ, სამზე მეტჯერ | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამ თვეზე მეტხანს ვიყავი დაუსაქმებელი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. შევიცვალე დამსაქმებელი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 3. შევიცვალე საქმიანობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 4. წამოვიწყე საკუთარი ბიზნესი/გავხდი თვით-დასაქმებული | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 5. ვიშოვე დამატებითი სამუშაო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |

## ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება რესპონდენტის მიერ: ამჟამინდელი, წარსული და მომავალი

**O3. ზოგადად, როგორ შეაფასებდით თქვენს ამჟამინდელ ფინანსურ მდგომარეობას?**

გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი

ჩემი ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა არის...

1. ძალიან კარგი [1]
2. კარგი [2]
3. არც კარგი, არც ცუდი [3]
4. ცუდი [4]
5. ძალიან ცუდი [5]
6. მიჭირს პასუხის გაცემა [88]

**O4. ხუთი წლის წინანდელთან შედარებით, როგორ შეიცვალა თქვენი პირადი ფინანსური მდგომარეობა?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

ჩემი ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა არის...

1. ბევრად უკეთესი, ვიდრე ხუთი წლის წინ იყო [1]
2. გარკვეულწილად უკეთესი, ვიდრე ხუთი წლის იყო [2]
3. იგივე, რაც ხუთი წლის წინ იყო [3]
4. გარკვეულწილად უარესი, ვიდრე ხუთი წლის წინ იყო [4]
5. ბევრად უარესი, ვიდრე ხუთი წლის წინ იყო [5]
6. მიჭირს პასუხის გაცემა [88]

**O5. თქვენი მოლოდინით, როგორი იქნება თქვენი ფინანსური მდგომარეობა ხუთი წლის შემდეგ?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|

ხუთი წლის შემდეგ ჩემი ფინანსური მდგომარეობა იქნება...

1. ბევრად უკეთესი, ვიდრე დღესაა [1]
2. გარკვეულწილად უკეთესი, ვიდრე დღესაა [2]
3. იგივე, რაც დღესაა [3]
4. გარკვეულწილად უარესი, ვიდრე დღესაა [4]
5. ბევრად უარესი [5]
6. მიჭირს პასუხის გაცემა [88]

## კონფლიქტი და სოციალური ექსკლუზია: უფროსი ასაკის მოქალაქეების დასაქმება

**O6. რამდენად ეთანხმებით ჩამოთვლილ დებულებებს?**

| გთხოვთ, მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული დებულებისთვის |
|---|

| | სრულიად ვეთანხმები | ვეთანხმები | არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 60 წლის ან უფროსი მოქალაქეების დასაქმება საქართველოს ეკონომიკისთვის კარგია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |
| 2. როდესაც 60 წლის ან უფროსი ადამიანები დასაქმებულები არიან, ისინი შედარებით ახალგაზრდებს ართმევენ სამუშაო ადგილებს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 88 |